

## საქართველოს კანონი

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსს“ (პარლამენტის უწყებანი, N31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1) 286-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის უძრავი ქონება, რომელსაც პირი შეიძენს მომავალში (სამომავლო ქონება). სამომავლო ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხდება მისი შეძენისთანავე, ხოლო სამომავლო ქონებაზე იპოთეკის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება იპოთეკის უფლების რეგისტრაციის მომენტის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი